საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

# ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის შუალედური

ანგარიში

1 აპრილი – 1 ივლისი

2017 წელი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

unicef
for every child

# შინაარსი


შესავალი ..... 2
1. მონიტორინგის მეთოდოლოგია ..... 2
2. ძირითადი ტენდენციები ..... 4
3. რაოდენობრივი მონაცემები ..... 5
4. თვისებრივი მონაცემები ..... 9
4.1. სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობა ..... 9
4.2. ბავშვების გარეშე ..... 11
4.3. ბავშვები რეკლამის პიარ მიზნებისთვის ..... 12
4.4. ტრაგედიები სენსაციურ ჭრილში ..... 13
4.5. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები ..... 14
4.6. ბავშვთა არასაჭირო იდენტიფიცირება ..... 16
4.7. არასრულწლოვანთა სუიციდის გაშუქება ..... 18
4.7.1. კომპიუტერული თამაშის გაშუქება ..... 18
4.8. ბავშვები ანტიდასავლური სენტიმენტების გასაძლიერებლად ..... 21
4.9. ბავშვების სტიგმატიზება ..... 22
4.10. არასწორი ტერმინოლოგია ..... 23
5. სიღრმისეული გაშუქება ..... 23
6. 1 ივნისი ..... 25

# შესავალი

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია უკვე რამდენიმე წელია გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით მუშაობს ბავშვთა საკითხების გაშუქების გაუმჯობესების მიმართულებით. მედიაზე დაკვირვება ერთ-ერთი კომპონენტია ერთობლივი პროექტისა „ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება“ .

მედიამონიტორინგის მიზანი ელექტრონულ, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში ბავშვთა საკითხებზე გამოქვეყნებული მასალების შესწავლა, ბავშვთა უფლებებთან, ეთიკურ ნორმებსა და სიღრმისეულად გაშუქების პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზია. მონიტორინგი 2017 წლის 1 აპრილიდან 30 ნოემბრამდე ტარდება.

წინამდებარე შუალედურ ანგარიშში მოცემულია 2017 წლის 1 აპრილიდან 1 ივლისამდე პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შეჯამება. შეფასებულია სხვადასხვა ტიპის მედიის თავისებურებები, ასევე წარმოდგენილია ძირითადი ტენდენციები და შესწავლილი მასალების დეტალური ანალიზი, გამოკვეთილი ხარვეზები და რეკომენდაციები.

ანგარიშში ცალკე ქვეთავი ეთმობა 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ბავშვთა საკითხების გაშუქების შეფასებას.

## 1. მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორებმა გააანალიზეს როგორც პრესაში, ისე ონლაინ და სამაუწყებლო მედიაში გამოქვეყნებული ყველა მასალა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა ბავშვს. მონიტორები აკვირდებოდნენ ცალკეულ თემებთან დაკავშირებით ბავშვების გაშუქებას, ასევე მათ შესახებ მომზადებული მასალების ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობას. ყურადღებას აქცევდნენ თუ რა ჭრილში, რა კონტექსტში შუქდებოდა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხები. როგორ ჩანდნენ ბავშვები ჟურნალისტურ მასალებში და რა თემებთან დაკავშირებით საუბრობდნენ ისინი.

ანგარიში მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ანალიზს.

რაოდენობრივ კომპონენტში მონიტორები აკვირდებოდნენ და ითვლიდნენ ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებული მასალები რომელ თემას ეხებოდა. წელს პირველად გამოიყო ცალკე სწავლის დაწყება-დასრულებისა და გამოცდებთან დაკავშირებული თემები, რათა უფრო დეტალურად გვენახა თუ რა რაოდენობა მასალა ხვდება კატეგორიაში „განათლება“, ვინაიდან გასული წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობის მასალა

განათლების კატეგორიაში ხვდებოდა სწორედ წავლის დაწყება-დასრულების შესახებ მშრალი ინფორმაციის გავრცელების ხარჯზე. საერთო ჯამში გამოიყო შემდეგი თემები:

- განათლება
- გამოცდები
- სწავლის დაწყება-დასრულება
- ჯანდაცვა
- სოციალური
- სპორტი
- კულტურა
- ბავშვთა უფლებები
- ძალადობა ოჯახში
- სუიციდი
- კრიმინალი
- სარეკლამო მასალა/პიარი
- ქველმოქმედება
- ღონისძიებები (1 ივნისს მხოლოდ)
- რელიგია
- უბედური შემთხვევები
- სხვა

*პირველ ივნისს, ბავშვთა უფლებების დაცვის დღეს დაემატა „ღონისძიებები“, ასეთი ტიპის მასალის სიმრავლიდან გამომდინარე.

რაოდენობრივად ითვლებოდა ასევე რამდენი მასალა მზადდებოდა ბავშვის მონაწილეობით და მის გარეშე, რომელ თემასთან დაკავშირებით საუბრობდნენ ყველაზე ხშირად ბავშვები რესპონდენტის როლში. ითვლებოდა მასალის ტიპებიც, რომლებიც დაყოფილი იყო შემდეგნაირად:

- მოკლე ახალი ამბავი/ კადრ+სინქრონი
- სტატია/სიუჟეტი
- გადაცემა
- სიღრმისეული მასალა

თვისებრივი ანალიზისას მონიტორებისთვის სახელმძღვანელო პრინციპებად შერჩეული იყო:

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო

- ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღიარებული მითითებები და პრინციპები, რომელიც ეხება ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს
- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსი

## 2. ძირითადი ტენდენციები

- 2016 წელთან შედარებით გაიზარდა ბავშვთა საკითხების გაშუქება განსაკუთრებით ონლაინ მედიაში, თუმცა გაშუქების ხარისხი კვლავ გაუმჯობესებას საჭიროებს
- ბავშვების შესახებ მედია ყველაზე ხშირად (22%) განათლების თემასთან დაკავშირებით საუბრობს, თუმცა გაშუქებული მასალების უმრავლესობა განათლების მინისტრის ან სხვა პირთა განცხადებებია და არა განათლებაში არსებული პრობლემების ანალიზი
- მხოლოდ 1%-ია ბავშვთან დაკავშირებული ისეთი მასალები, რომელიც სიღრმისეულად წარმოაჩენს პრობლემას. ჟურნალისტური პროდუქტების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ ფაქტის ზედაპირული გაშუქებაა მოკლე ახალი ამბების ფორმატში.
- მედია აშუქებს სხვადასხვა ორგანიზაციის განცხადებებს, ანგარიშებს, სადაც არაერთი სერიოზული პრობლემაა წამოწეული, თუმცა ასეთი ანგარიშები და განცხადებები კვლავაც ვერ ხდება მედიისთვის ინსპირაციის წყარო, რომ უფრო ფართოდ გაშალოს იქ წამოწეული სერიოზული პრობლემები. ნაცვლად ამისა აქცენტს აკეთებს მხოლოდ იმაზე, რომ პრეზენტაცია ან პრესკონფერენცია გაიმართა.
- ბავშვების, როგორც რესპონდენტების გამოჩენა კვლავ პრობლემად რჩება. 2016 წლის აპრილი - ივნისის მონიტორინგის შედეგებთან შედარებით 34-დან 9 პროცენტამდე შემცირებულია იმ მასალების რიცხვი, სადაც ბავშვები თავად საუბრობენ. ბავშვები რესპონდენტებად ძირითადად ტელეეთერში ჩანან.
- პოლიტიკოსები თუ კერძო და საჯარო ორგანიზაციები ხშირად იყენებენ ბავშვებს საკუთარი პიარ მიზნებისთვის. ასეთ დროს მედია მიყვება პრესსამსახურების მიერ შემოთავაზებულ ფოკუსს და აქცენტს აკეთებს კომპანიაზე, უწყებაზე და არა თავად აქტივობის შინაარსსა და ბავშვებზე.
- კვლავაც არის არაერთი შემთხვევა, როდესაც ბავშვებთან დაკავშირებული ტრაგედიები, უბედური შემთხვევები სენსაციურ ჭრილში სენტიმენტალურად შუქდება.
- გამოწვევად რჩება ჯანმრთელობის პრობლემების და მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრები არასრულწლოვნების გაშუქება, როდესაც მედია ცდილობს დაეხმაროს მათ თანხის მიღებაში, თუმცა, დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტელევიზიაში შემცირდა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების შესახებ სენტიმენტალური მასალების მომზადება.
- ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობისას მედია ფაქტობრივად ექიმების ან ექიმბაშებისგან რჩევის მიღებას ვერ ცდება, არ გვხვდება ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზი, ბავშვებისთვის

არსებული პროგრამების მიმოხილვა ან კრიტიკა არ იწერება, რა პრობლემებია, რა საჭიროებები აქვთ ბავშვებს.

- ბავშვების თემა გამოყენებული იყო ანტიდასავლური განწყობების გასაძლიერებლად.
- მკვეთრად შემცირდა ძალადობის მსხვერპლების ან კრიმინალის ჩადენაში ბრალდებული არასრულწლოვნების იდენტიფიცირების შემთხვევები. ამგვარი მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა.
- წინა წლისგან განსხვავებით, ამ საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა ბავშვების რეტრავმირების შემთხვევები, როდესაც მედია გადატანილი სტრესის გახსენებას და მძიმე მოვლენების შესახებ ამბის მოყოლას სთხოვს არასრულწლოვანს.
- არასრულწლოვანთა სუიციდის არაეთიკურად გაშუქება მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა.
- მხოლოდ სამჯერ იყო გამოყენებული ბავშვებთან დაკავშირებით არასწორი ტერმინოლოგია. მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული სიტუაცია ამ თვალსაზრისით.
- დილისა და შუა დღის გადაცემებში გაიზარდა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება.
- საანგარიშო პერიოდში ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს სიღრმისეულად აშუქებდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „რეალური სივრცე“ და ნეტგაზეთი/ბათუმელები.

## 3. რაოდენობრივი მონაცემები

2017 წელს გასულ წლებთან შედარებით ბავშვთა საკითხების გაშუქება გაიზარდა უმთავრესად ონლაინ მედიის ხარჯზე. თუ 2016 წლის 1 მარტი - 1 ივნისის პერიოდში ონლაინ მედიაში 2232 მასალა გამოქვეყნდა, რომელიც ბავშვებს პირდაპირ ან ირიბად ეხებოდა, 2017 წლის 1 აპრილი-1 ივლისის პერიოდში ეს მაჩვენებელი 3393 იყო. პრესაში მცირე რაოდენობით გაიზარდა ბავშვების შესახებ მომზადებული მასალების რაოდენობა, ტელევიზიაში კი 1615-დან 1459-მდე შემცირდა. შეიძლება ითქვას, რომ ონლაინ მედიაში მასალების რაოდენობა გაიზარდა არა იმიტომ, რომ მედიასაშუალებები უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ იმიტომ რომ ცალკ-ცალკე მასალად შუქდება სხვადასხვა საჯარო უწყების აქტივობები, საჯარო თუ კერძო პირთა განცხადებები სკოლასთან, ბავშვების განათლებასთან დაკავშირებით. საერთო ჯამში სამონიტორინგო პერიოდში 5283 მასალა გამოქვეყნდა, რომელიც ბავშვებს პირდაპირ ან ირიბად ეხებოდათ.




მედიის მიერ ბავშვებთან დაკავშირებით გაშუქებული თემებიდან სჭარბობს განათლება (22%) თუ გავაერთიანებთ გამოცდებთან და სწავლის დაწყება დასრულებასთან დაკავშირებული მასალების რაოდენობასაც, მაშინ განათლებასთან დაკავშირებით მასალების რაოდენობა 30%-ს აღწევს. შემდეგ მოდის უბედური შემთხვევები (10%) ქველმოქმედება (9%), ჯანდაცვა (8%) და სარეკლამო და პიარის შემცველი მასალები (8%). ამ თემების ხუთეული გასულ წელსაც თითქმის იგივე იყო. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ უბედური შემთხვევების და სარეკლამოს მასალების ნაცვლად კრიმინალური საკითხები და კულტურის თემა სჭარბობდა.

**განათლებასთან** დაკავშირებული საკითხები ძირთადად ეხებოდა საგანმანათლებლო კონფერენციებს, სხვადასხვა ადგილას საბავშვო ბაღების გახსნა/რემონტს; მოსწავლეების ჩართულობას სხვადასხვა უწყებასთან შეხვედრებსა თუ კამპანიაში, მათ შორის საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით; საზაფხულო ბანაკებში მოსწავლეების დასვენება და ა.შ. განსაკუთრებით ონლაინ მედია ცალკე მასალებად აქვეყნებდა განათლების მინისტრის, ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებებს სწავლის პროცესთან თუ კვლევებთან დაკავშირებით.

**უბედური შემთხვევა** - მედია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უბედურ შემთხვევებს, რომლის შედეგადაც ბავშვი გარდაიცვალა ან დაშავდა. სამონიტორინგო პერიოდში ამ კატეგორიაში მოხვდა რამდენიმე წლის წინ, ქობულეთში ხანძრის შედეგად (რომელსაც 3 არასრულწლოვანი ემსხვერპლა) დამწვარი სასტუმროს სასამართლო პროცესებთან დაკავშირებულმა ამბები. ასევე მრავლად იყო საავტომობილო ავარიების დროს დაშავებული თუ დაღუპული არასრულწლოვნების შესახებ ახალი ამბები.

მასალების დიდი ნაწილი მხოლოდ მოკლე ინფორმაციას შეიცავდა ფაქტის შესახებ და შუქდებოდა როგორც ტრაგიკული შემთხვევა. თითქმის არ ყოფილა ისეთი მასალა, რომელიც აღნიშნულ თემას სიღრმისეულად გააშუქებდა და გამომწვევი მიზეზების თუ პრევენციის მეთოდების ან პასუხისმგებელი ინსტიტუციების შესახებ ისაუბრებდა.

**ქველმოქმედებაში** მოხვდა საქველმოქმედო აქციების შესახებ მასალები, რომელშიც ბავშვები მონაწილეობდნენ. იშვიათად როგორც ქველმოქმედები, უფრო მეტად კი ქველმოქმედების ობიექტები.

**ჯანდაცვის** კატეგორიაში მასალების დიდი რაოდენობა განპირობებულია გაზაფხულის დადგომასთან, რომლის დროსაც სეზონური დაავადებების გაშუქება აქტიურდება ხოლმე. აგრეთვე, თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული კანონის გამკაცრების შესახებ დაწყებული დისკუსიები და კანონპროექტის განხილვასთან, რაც ხშირად უკავშირდებოდა არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხს.

**კატეგორია „სხვა“** მოიცავს მასალებს, რომელიც არც ერთ ზემოთჩამოთვლილ კატეგორიას არ ეხება. მაგალითად, სხვადასხვა ცნობილი პერსონისა და მათი შვილების ურთიერთობას. აგრეთვე მოხვდა ავღანეთში, ბაგრამის ბატალიონის წევრებისთვის ქართველი ბავშვებისგან გაგზავნილი წერილების შესახებ ცნობებს, თეა წულუკიანის სამსახურში დაბრუნება, მას შემდეგ რაც მან შვილი გააჩინა და ა.შ.



რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ბავშვების შესახებ სიღრმისეული მასალების მომზადების პრობლემა ქართულ მედიაში მთავარ გამოწვევად რჩება. მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენს ისეთი მასალები, სადაც თემა საფუძვლიანად არის განხილული, ჩაწერილია ყველა შესაძლო წყარო და ჟურნალისტი ორიენტირებულია საკითხის გარკვევასა და მკითხველისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე. დანარჩენი მასალა კი მოკლე ინფორმაციაა მიმდინარე მოვლენებზე. გაშუქება ზედაპირული და ფრაგმენტულია. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია მთელი გადაცემა ან სტატია მიეძღვნას ბავშვებს, თუმცა სიღრმისეულად მაინც არ გაშუქდეს თემა.




2016 წლის აპრილი - ივნისის მონიტორინგის შედეგებთან შედარებით 34-დან 9 პროცენტამდე შემცირებულია იმ მასალების რიცხვი, სადაც ბავშვები თავად საუბრობენ. ყველაზე ხშირად ბავშვები რესპონდენტებად ტელეეთერში ჩანან. საანგარიშო პერიოდში მაუწყებლების მიერ მომზადებული მასალების 22%-ში საუბრობდნენ ისინი. ყველაზე ხშირად არასრულწლოვნები განათლებასთან და კულტურასთან დაკავშირებულ თემებზე ლაპარაკობდნენ.




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტელემედიაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ გასულ წელთან შედარებით დილის და შუა დღის ეთერებში გაიზარდა ბავშვებთან დაკავშირებული თემებზე საუბარი. ისეთი გადაცემები, როგორებიცაა „რუსთავი 2-ის“ „დილა მშვიდობისა“ ან „შუადღე“, ასევე „იმედის დილა“ და „შუადღის შოუ“ ხშირად უთმობენ ეთერს არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ თემებს.

მნიშვნელოვანია, რომ არსებობს ისეთი გადაცემები, თუ გამოცემები, რომლებიც სისტემატურად უთმობენ ყურადღებას ბავშვთა საკითხების სიღრმისეულად და პროაქტიულად გაშუქებას, ამ თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდში გამოირჩნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „რეალური სივრცე“ და ნეტგაზეთი/ბათუმელები.

## 4. თვისებრივი მონაცემები

### 4.1. სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული მედია არასრულწლოვნებთან დაკავშირებით აუდიტორიას არ სთავაზობს საკითხის ანალიზს, არ ცდილობს დაანახოს კონტექსტი და აჩვენოს თუ რა გავლენას მოახდენს არასწრულწლოვნებზე ამბები, რომელიც მათ პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება. ეს ყველაზე ნათლად ბავშვებთა უფლებების გაშუქების მაგალითზე ჩანს, როდესაც მედია აშუქებს გაეროს ბავშვთა ფონდის, სახალხო დამცველის თუ სხვადასხვა

არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადებებს, ანგარიშებს, სადაც არაერთი სერიოზული პრობლემაა წამოწეული, თუმცა ასეთი ანგარიშები და განცხადებები კვლავაც ვერ ხდება მედიისთვის ინსპირაციის წყარო, რომ მოამზადოს სიღრმისეული მასალა, უფრო ფართოდ გაშალოს იქ წამოწეული საკითხები. ნაცვლად ამისა აქცენტს აკეთებს მხოლოდ იმაზე, რომ პრეზენტაცია ან პრესკონფერენცია გაიმართა.

მაგალითად, 2 აპრილი აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღეა და მედიაშიც არაერთი მასალა გამოქვეყნდა, თუმცა გაშუქება ზედაპირული იყო და ფოკუსი კეთდებოდა არა აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანებზე, არამედ სხვადასხვა აქტივობის მომწყობ პირებზე. რა პრობლემები აქვთ, რას აკეთებს სახელმწიფო მათ დასახმარებლად, რამდენად შედეგიანია არსებული პროგრამები - ასეთი საკითხები აუტიზმის ცნობადობის დღესაც კი ვერ მოხვდა მედიის დღის წესრიგში. მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც სახალხო დამცველმა ამ დღეს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება და განცხადება გაავრცელა, მედიისთვის არც ეს განცხადება გამხდარა თემის სიღრმისეულად გაშუქების ინსპირაცია. მათ მხოლოდ განცხადება გააშუქეს.

ტელეკომპანია "იმედზე" გადაცემა "დღის შოუში" აჩვენეს თბილისში მდებარე ერთ-ერთი სკოლა, სადაც აუტისტური სპექტრის მქონე 7 ბავშვი სწავლობს. ტექსტში ჟურნალისტი ამბობს, რომ ასეთი სკოლების რაოდენობა ცოტაა, ამიტომ აქ ბავშვები სხვადასხვა უბნებიდან დადიან, ხოლო ერთი მათგანი ფოთიდანაც კი გადმოვიდა თბილისში. არ ამახვილებენ ყურადღებას, რატომ დაჭირდა ამ ბავშვს ფოთიდან გადმოსვლა და რა მდგომარეობაში არიან ბავშვები, რომლებსაც რეგიონებში საცხოვრებლის მიტოვება არ შეუძლიათ. ეს იმ ფონზე, როდესაც მერია ქალაქში არსებულ რეაბილიტაციის პროგრამაში არ რთავს იმ ბავშვებს, რომლებიც თბილისში არ არიან რეგისტრირებულები, ხოლო რეგიონების ნაწილში რეაბილიტაციის პროგრამები საერთოდ არ არსებობს.

მედიისთვის სერიოზულ გამოწვევად რჩება, რომ ის აუდიტორიას არ აწვდის ინფორმაციას თუ რა გაგრძელება მოჰყვა უკვე გაშუქებული პრობლემას. მაგალითად, აქტიურად გაშუქდა სიახლე, რომ მინდობით აღზრდაში მყოფი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი არასათანადო პირობებში იზრდებოდა, გაშუქდა სახალხო დამცველის, სხვადასხვა ორგანიზაციის განცხადებები, თუმცა მედიამ ამბავი საწყის ეტაპზე გააშუქა, რა შედეგები მოჰყვა ამ განცხადებებს, ახლა სად და როგორაა ბავშვი, ან სხვა მსგავს მდგომარეობაში მყოფი ბავშვები, აღარ აუხსნიათ აუდიტორიისთვის.

Infonews.ge-ს ერთ სიახლეში კი ნათქვამია, რომ ბავშვთა სიკვდილიანობამ იმატა, მოცემულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, მოცემულია მხოლოდ ბავშვების სიკვდილიანობის მაჩვენებელი, ნაცვლად იმისა, რომ ციფრები სიღრმისეული მასალის საფუძველი გამხდარიყო.

**ეს თემა შესაძლებელია განხილულიყო სიღრმისეულად და მშრალი ციფრების გავრცელების ნაცვლად სტატიაში მოცემული ყოფილიყო:**

1. საქართველოში სიკვდილიანობის სტატისტიკა დინამიკაში, წლების მიხედვით.
2. განხილულიყო ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზები.
3. გაერო პერიოდულად აწარმოებს ქვეყნების სტატისტიკას ბავშვთა სიკვდილიანობის მიმართულებით, კარგი იქნებოდა აღნიშნულიყო რომელ ადგილზეა საქართველო ამ სტატისტიკაში, რა მდგომარეობაა ამ მხრივ სამხრეთ კავკასიის რეგიონსა და ევროპაში.
4. ჯერ კიდევ 2012 წელს, ახლად მოსულმა ხელისუფლებამ და ჯანდაცვის მინისტრმა ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება ქვეყანაში და ამ მიმართულებით გარკვეული პროგრამების ამოქმედებაც დაანონსა. სტატიაში კარგი იქნებოდა გაეხსენებინათ მინისტრის ეს განცხადება, მიმოეხილათ, კონკრეტულად რა პროგრამები განახორციელა ქვეყანამ და რატომ ვერ იმუშავა ამ პროგრამებმა (ფაქტია, რომ სტატისტიკა შემცირების ნაცვლად, გაზიარდა) . მედიას უნდა მიმოეხილა, რა სტრატეგია აქვს ახლა სახელმწიფოს და რის გაკეთებას აპირებს იმისთვის, რომ ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირდეს.

ბავშვებთან დაკავშირებულ საკანონდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით რეპორტაჟების მომზადების შემთხვევაში, მედია არ ყვება კონკრეტულად როგორ აისახება ესა თუ ის საკანონმდებლო ცვლილება არასრულწლოვნებზე. მაგალითად, 12 საათიან გამოშვებაში პირველი არხის მასალაში საუბარი იყო მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭების დახვეწასა და გაუმჯობესებაზე, თუმცა რა პრობლემებს ქმნის ეს ბავშვებისთვის დღეს, რა რისკებს შეიცავს, რას შეცვლის მისი დახვეწა გაუგებარი დარჩა. თემა მთავარ გამოშვებაში აღარ გაგრძელებულა. კარგი იქნებოდა, ჟურნალისტს განეხილა კონკრეტული პრობლემა, რომელიც ადამიანს ექმნება იმის გამო, რომ მარტოხელა მშობლის სტატუსი სათანადოდ არ რეგულირდება კანონით და შემდეგ აეხსნა ახალი ცვლილება როგორ მოაგვარებს ამ პრობლემას.

კონკრეტული მაგალითზე იმის ჩვენებით თუ როგორ აისახება ესა თუ ის საკანონმდებლო ცვლილება ბავშვებზე, უკეთესად არის შესაძლებელი საზოგადოებისთვის მისი საჭიროების თუ უსარგებლობის ჩვენება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს არასრულწლოვნების ღირსეულ გარემოში ცხოვრებას.

## 4.2. ბავშვების გარეშე

უმეტეს შემთხვევაში მედია ბავშვებზე ისე საუბრობს, რომ თავად მათ აზრს არ ეკითხება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მასალა რაიმე ტიპის სოციალურ ან საგანმანათლებლო პრობლემას ეხება. რატომღაც მიიჩნევა, რომ ბავშვმა მსგავს სერიოზულ თემებზე კომენტარები

არ უნდა აკეთოს. ამ ტენდენციაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მედია აშუქებს ბავშვებთან დაკავშირებულ თემებს (ხანდახან საკმაოდ სიღრმისეულადაც კი ერთი შეხედვით) თუმცა, სიუჟეტში თემის მთავარი გმირები - ბავშვები საერთოდ არ საუბრობენ.

მაგალითად, აჭარის ტელევიზიას ჰქონდა სიუჟეტი სოფელ დაგვაში სკოლის ინფრასტრუქტურის პრობლემებთან დაკავშირებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა პირდაპირ კავშირშია განათლებასთან და მოზარდებთან, რომლებსაც აღნიშნულ პირობებში უწევთ განათლების მიღება, ისინი საერთოდ არ საუბრობდნენ სიუჟეტში. შესაძლებელი იყო, რომ სიუჟეტის მომზადებისას მეტი ყურადღება გადაეტანათ მოსწავლეებზე, მათთვის შექმნილ სირთულეებზე და მათი პერსპექტივაც წამოეწიათ წინ.

კიდევ ერთი სიუჟეტი, რომელიც პირველ არხზე 14 ივნისს „მოამბის“ მთავარ გამოშვებაში გავიდა, საუბარია სწავლების ახალი მეთოდის დანერგვაზე სკოლებში და უშუალოდ ეხება ბავშვებს, თუმცა მხოლოდ ზრდასრულები საუბრობენ, ბავშვები ზოგად კადრებში ჩანან. მათთვის აზრი არ უკითხავთ.

ბავშვების ხმა იმ შემთხვევაშიც კი არ ისმის, როდესაც მასალა უშუალოდ ბავშვების აქტივობას ეხება. მაგალითად, სააგენტო GHN-მა გამოაქვეყნა ნიუსი სათაურით „ირაკლი კობახიძემ და იანოშ ჰერმანმა ახალგაზრდული თამაშის „ჩემი ევროპული თავგადასავალი" გამარჯვებულები გამოავლინეს“. მასალაში საუბრობენ ევროკავშირის ელჩი, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი, მაგრამ თავად გამარჯვებული ბავშვებისთვის აზრი არ უკითხავთ. იგივე ნიუსი იმავე სტილში გამოაქვეყნეს სხვა ვებგვერდებმაც, მაგალითად, ინფო 9-მ, for.ge-მ, რაც მეტყველებს იმასზე, რომ ეს ნიუსი სავარაუდოდ პრესსამსახურის მიერ არის მომზადებული და სააგენტოებისთვის გაგზავნილი, თუმცა ამის შესახებ არსად არ არის მითითებული.

ტვ25-მაც მოსწავლეების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთების გამოფენის გაშუქებისას ყველა ასაუბრა თავად ბავშვების გარდა. იგივე პრობლემა ქონდა 18 მაისს ამავე ტელევიზიის ეთერში გასულ სიუჟეტსაც, რომელიც მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს შეეხებოდა და რომელშიც ძირითადად მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მიუხედავად ამისა, ტელევიზიამ მხოლოდ ზრდასრულების კომენტარი აჩვენა.

### 4.3. ბავშვები რეკლამის პიარ მიზნებისთვის

როგორს საჯარო უწყებები, პოლიტიკოსები, ისე კერძო პირები ხშირად ბაშვებს იყენებენ საკუთარი საქმიანობის რეკლამირებისთვის. ასეთ შემთხვევებშიც მედია მთლიანად მიყვება მათ მიერ შემოთავაზებულ ფოკუსს, აქცენტს აკეთებს კომპანიაზე, უწყებაზე და არა თავად აქტივობის შინაარსსა და ბავშვებზე. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია დღესასწაულების და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების დროს. მაგალითად, აუტიზმის ცნობადობის დღეს

პარლამენტარებმა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს უმასპინძლეს. რამდენიმე სააგენტოს მიერ მომზადებულ მასალაშიც მხოლოდ აღნიშნული იყო, რომ დამსწრე საზოგადოებას ფრაქციის თავმჯდომარე მიესალმა, დაათვალიერეს 12 წლის ბავშვის ნამუშევრების გამოფენა, მაგრამ თავად ბავშვებზე აქცენტი არ გაკეთებულა.

„ეტანიუსს“ არც ის გამორჩენია, რომ საბავშვო ბაღის ზეიმს ბორჯომის მუნიციპალიტეტის პირველი მოადგილე და კულტურის სამსახურის უფროსი დაესწრნენ.

Kvira.ge-ს სიახლე კი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის წინ 900 კვადრატულ მეტრზე სკვერი მოეწყო და რომლის პროექტიც IX და X კლასების მოსწავლეებმა და პედაგოგმა დაწერეს და თავად განახორციელეს, კარგად აჩვენებს მედიის ზოგად მიდგომას ბავშვებისადმი. სიახლეში მთავარი იყო არა ის, რომ პროექტი მოსწავლეებმა განახორციელეს, არამედ აქცენტი გაკეთდა სკვერის გახსნასა და გამგებლის მიერ წითელი ლენტის გაჭრაზე. პროექტის ავტორი მოსწავლეების შესახებ მხოლოდ ერთი წინადადებით, ნიუსის ბოლოშია აღნიშნული. ისინი ფოტოზეც კი ვერ მოხვდნენ.

კომპანიების პიარის მიზნით განხორციელებული აქტივობები ბავშვებთან დაკავშირებით ხშირ შემთხვევაში უცვლელად გვხვდება ათეულობით ვებსაიტზე, რაც შემდეგ ძალიან ზრდის ამა თუ იმ კატეგორიაში მასალების რაოდენობას.

## 4.4. ტრაგედიები სენსაციურ ჭრილში

ტრაგედიების სენსაციურ ჭრილში გაშუქება ზოგადი ტენდენციაა ქართულ მედიაში, თუმცა სენსაციური და სენტიმენტალური ელფერი კიდევ უფრო ძლიერდება როცა საქმე ბავშვს ეხება. ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით, უბედური შემთხვევების, სუიციდის, ოჯახში ძალადობის გაშუქებისას იკვეთება.

ასეთ ჭრილში გაშუქდა თბილისში მომხდარი ავტოავარია, რომელმაც 8 წლის გოგონა იმსხვერპლა. "მივდივარ, სად?" - ჩანაწერები გარდაცვლილი 8 წლის გოგონას რვეულში, რას ჰყვებიან ნათესავები - ამ სათაურით გამოაქვეყნა სიახლე „გზამ“, შემდეგ კი „ნიუს ბუმმა“ გაავრცელა უცვლელად. მასალაში ვკითხულობთ, რომ გოგონამ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, ბლოკნოტში ჩანაწერით საკუთარი სიკვდილი იწინასწარმეტყველა. შემდეგ მოცემულია მამის, ნათესავების დამწუხრებული კომენტარები. სხვათა მონათხრობზე დაყრდნობით ჟურნალისტი ყვება: **„ძმას უთქვამს, - 13 წელი ვნატრობდი, რომ და მყოლოდა, 8 წელი ერთად ბედნიერად ვიცხოვრეთ და როგორ ერთ წუთში მომიკლესო... ძმამ თურმე ნათესავებთან ტრაგედიის წინა დღეც გაიხსენა: წინადღეს თურმე ილოცა, ლოცვის დროს სახე ფანჯრისკენ ჰქონდა მიტრიალებული, ლოცვას რომ მორჩა და მობრუნდა, საშინლად ტიროდა, მაგრამ მაშინ მე მისთვის არ მიკითხავს, რატომ ტიროდაო“,** - ვკითხულობთ სტატიაში. იქვე

ვიგებთ, რომ ბავშვს წინასწარმეტყველური ხილვები ჰქონდა და სიზმრებში წმინდანებს ხედავდა.

იმ უბედური შემთხვევების შესახებ მომზადებულ სიახლეებში, სადაც ბავშვები ფიგურირებენ ხშირად შეხვდებით სიტყვებს: „სკანდალური“ „ექსკლუზიური“ „სენსაციური“. მაგალითად, ეტანიუსის მასალა სკანდალური ინციდენტი- ბაღის აღსაზრდელი, პირველი და მეორე სართულის დამაკავშირებელ კიბესთან არსებული სიცარიელეში ჩავარდა.

ტრაგედიების გაშუქებისას მასალას ტრადიციულად თან ახლავს მეზობლების კომენტარები, რომლებმაც ხშირ შემთხვევაში არაფერი იციან მომხდართან დაკავშირებით და მხოლოდ წუხან ტრაგედიის გამო ან იძლევიან სპეკულაციის საშუალებას.

ამგვარად სენსაციურ და სენტიმენტალურ ჭრილში მასალის გაშუქება საზოგადოებას მხოლოდ ემოციებს აღუძრავს და არ ემსახურება მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემას, პრობლემაზე ორიენტირებას, ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე ფოკუსირებას. არაფრისმნახველი თვითმხილველების სტატუსით ჩაწერილი მოქალაქეები, ახლობლები და მეზობლები კი სპეკულაციის წყარო ხდებიან, რაც სხვადასხვა სტიგმის გაძლიერებას იწვევს.

## 4.5. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები

გამოწვევად რჩება ჯანმრთელობის პრობლემების და მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრები არასრულწლოვნების გაშუქება, როდესაც მედია ცდილობს დაეხმაროს მათ თანხის მიღებაში. ერთის მხრივ დღის წესრიგში დგას ბავშვის ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, რის გაუმჯობესებაში მედია ფიქრობს, რომ დაეხმარება თუ აუდიტორიას მოუწოდებს თანხის ჩარიცხვისკენ, მეორეს მხრივ კი მედიის ფუნქცია არ არის ქველმოქმედება.

ამ სამონიტორინგო პერიოდშიც არაერთი ასეთი მასალა გამოქვეყნდა. თუმცა, თუ ონლაინ მედიასა და პრესაში ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების შესახებ სენტიმენტალური მასალები მზადდებოდა, ტელევიზიაში ამგვარი სიუჟეტები შემცირდა. მხოლოდ წამყვანები აცხადებდნენ გამოშვების ბოლოს საბანკო ანგარიშის ნომერს ბავშვის დასახმარებლად. შეიძლება ითქვას, მაუწყებლებს შორის გამონაკლისია „პალიტრა ტვ-ს“ მიერ 14 მაისს გავრცელებული მასალა 14 წლის ბიჭის შესახებ, რომელსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები დაბადებიდან აქვს. თანდაყოლილი ანომალიის გამო, მას ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს და ამჟამად პროთეზების მეშვეობით გადაადგილდება. მთელი სიუჟეტი აგებულია ბიჭის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აქცენტირებით და ძირითადად დაფუძნებულია დედის ინტერვიუზე. სიუჟეტის განმავლობაში საუბარია იმაზე, თუ როგორი მძიმე იყო არასრულწლოვნის და მისი დედის ცხოვრება და როგორ ეხმარებოდა

მათ სხვადასხვა ადამიანი თუ ორგანიზაცია. სიუჟეტს ფონად გასდევს დრამატული მუსიკა და დრო და დრო ჩართულია საარქივო კადრები. მასალის ფოკუსი არ არის ის, თუ რა პროგრამები არსებობს ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის, რატომ ვერ არის უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვების ღირსეული ცხოვრება და რატომ არიან ისინი სხვა კერძო პირების თუ ორგანიზაციების დახმარების იმედად. მასალა მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდის მდგომარეობის დრამატიზირებას და მისი როგორც, სიბრალულის ობიექტის წარმოჩენას იწვევს.

უმჯობესია თუკი მასალები ფოკუსირებული იქნება არა მხოლოდ კონკრეტულ ამბავზე, არამედ განიხილება ფართო ჭრილში, საზოგადოება დაინახავს ჯანდაცვის სისტემურ ხარვეზებს და სასარგებლო იქნება მსგავსი პრობლემის წინაშე მდგარი სხვა ადამიანებისათვის. მხოლოდ ერთი კონკრეტული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას განსაკუთრებით ონლაინ მედია ავრცელებს. მაგალითად:

- News.ge-მ გამოაქვეყნა 8 წლის გოგონას დასახმარებლად ნიუსი, სადაც განსაკუთრებული პათეტიკურობით არის გაშუქებული არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა
- Newpost.ge-მ გაავრცელა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაცია მის დასახმარებლად. გამოცემამ გაასაჯაროვა არა მხოლოდ ბავშვის ჯანმრთელობის დიაგნოზი, არამედ გამოყენებული აქვს ფოტო, სადაც ბავშვი ნახევრად შიშველია და მისი სხეულის დაზიანებული ნაწილი ჩანს. მსგავსი ფოტოს გამოყენება, მიუხედავად გამოცემის კეთილი მიზნებისა, არაეთიკურია და ბავშვის ამ მდგომარეობაში გამოსახვა.

ამ სტატიებს შესაძლოა ჰქონდეს კეთილშობილური მიზანი დაეხმაროს პატარებს, მაგრამ რადგანაც ჟურნალისტის მოვალეობა პრობლემის არსის ხალხამდე მიტანა, მისი მხილება და ხელისუფლების იძულებაა, რომ არსებული პრობლემები გადაჭრას, აუცილებელია ამ თემების სიღრმისეულად გაშუქება. ნათლად უნდა ჩანდეს, რატომ სჭირდება ამ ხალხს ქველმოქმედება და რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლება დაიცვას პატარები ამ ყოფისგან. თუ ბევრი ჟურნალისტი მოსთხოვს პასუხს ხელისუფლებას, უფრო მეტია შანსი, რომ ძირეული რეფორმები გატარდეს. ამ პრობლემის ასე ფრაგმენტულად, ზედაპირულად გაშუქებამ კი დღეს შეიძლება იხსნას კონკრეტული ბავშვი, მაგრამ ხვალ სხვები კვლავ დადგებიან ამ სისტემური პრობლემის წინაშე.

სოციალური შეჭირვების საკითხები მედიაში ფაქტობრივად ქველმოქმედებს კონტექსტში შუქდება, იმის მაგივრად, რომ მედიამ პრობლემა აჩვენოს და დასვას კითხები სახელმწიფოს მიმართულებით, გვიყვება კონკრეტული ბავშვების სენტიმენტალურ ისტორიებს მძიმე სოციალური პირობების შესახებ. მაგალითად, მხოლოდ ემოციების გამომწვევია „კვირის პალიტრის“ მასალაში საუბარია ერთი უკიდურეს სიდუხჭირეში მცხოვრები ოჯახის შესახებ.

გამოქვეყნებულია ფოტოც, სადაც ჩანს პატარა ბიჭი ცოცხით. დედა ყვება თუ როგორ მუშაობს ბავშვი და აღწერს პირადი ცხოვრების დეტალებს. ნაცვლად იმისა, რომ ჟურნალისტი დაინტერესებულიყო, ბავშვი ხომ არ არის ტრეფიკინგის მსხვერპლი, აქვს თუ არა ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს მის შესახებ და როგორ ეხმარება, აქვს თუ არა სოციალური დახმარება თუ არ აქვს, მოეკითხა ხელისუფლებისთვის პასუხი, თუ აქვს რატომ არ არის საკმარისი. ჟურნალისტი სტატიას ასრულებს ტექსტით: "10 წლის მოხალისე ბიჭუნას ცხოვრება კი აუცილებლად შეიცვლება უკეთესობისკენ, რადგან ის ამას იმსახურებს" და ფაქტობრივად, არომანტიკულებს არასრულწლოვანის მდგომარეობას, რომლის საუკეთესო ინტერესი - იცხოვროს ჯანსაღ გარემოში, ისწავლოს, მისი ჯანდაცვა და უსაფრთხოება იყოს დაცული, ფაქტობრივად, დარღვეულია, ხოლო სახელმწიფო, რომლის ვალდებულებაცაა ბავშვების ინტერესების დაცვა, სტატიაში საერთოდ არ ჩანს.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ტელე და ონლაინ მედიისგან განსხვავებით, შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ბეჭდური მედია ინტერესდება ჯანდაცვის საკითხებით, თუმცა გაშუქების ხარისხი კრიტიკას ვერ უძლებს. ძირითადად, მედია ან იმას გვასწავლის, როგორ მოვუაროთ ბავშვებს და პედიატრებთან ან ფსიქოლოგებთან ინტერვიუს გვთავაზობს ან უფრო შორსაც მიდის და ალტერნატიული მედიცინის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას. მაგალითად, ექიმბაშთან ინტერვიუს გვთავაზობს „ალია", რესპოდენტი ამბობს, რომ მის მიერ ბალახებისგან დამზადებული მალამო უებარია და გამოიყენება ბავშვებში 2 კვირის ასაკიდან (!) მრავალი დაავადების სამკურნალოდ. ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობისას მედია ფაქტობრივად ექიმების ან ექიმბაშებისგან რჩევის მიღებას ვერ ცდება, არ გვხვდება ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზი, ბავშვებისთვის არსებული პროგრამების მიმოხილვა ან კრიტიკას არ იწერება, რა პრობლემებია ამ მიმართულებით, რა საჭიროებები აქვთ ბავშვებს.

### 4.6. ბავშვთა არასაჭირო იდენტიფიცირება

დადებითი ტენდენციაა, რომ მკვეთრად შემცირდა ძალადობის მსხვერპლების ან კრიმინალის ჩადენაში ბრალდებული არასრულწლოვნების იდენტიფიცირების შემთხვევები. გამონაკლისი იყო ინფორმაცია 15 წლის მოზარდის შესახებ, რომელსაც ცხენების ქურდობაში ადანაშაულებენ და რომელიც, ქურდობის საქმეზე მოწმის სახით, საგამოძიებო უწყებამ დაკითხა. სიახლეებიდან გავიგეთ, რომ ის დანაშაულს ნაწილობრივ აღიარებს. სამწუხაროდ, მედიის დიდმა ნაწილმა (ინტერპრესნიუსი, აქცენტი, GHN, ick,რომელმაც მოგვიანებით წაშალა მასალა, რუსთავი 2, იბერია, იმედი, მაესტრო, პირველი) მისი სრულად ან ირიბად იდენტიფიცირება მოახდინა. სახელმძღვანელო წესების თანახმად კი, დაუშვებელია არასრულწლოვანი ბრალდებულის იდენტიფიცირება.

2 ივნისს რუსთავი 2-ის საინფორმაციო გამოშვებაში (18:00 და 15:00 საათიან გამოშვებებში) გავიდა მოკლე სიუჟეტი კახეთში, სოფელ შაშიანში 2 არასრულწლოვნის დაჭრის შესახებ.

სიუჟეტში ხდება მოზარდების ირიბი იდენტიფიცირება, ვინაიდან დასახელებულია სოფელი და მოცემულია მეზობლების კომენტარები, სადაც რესპონდენტები სრულად არიან იდენტიფიცირებულნი. ანალოგიურად, ირიბი იდენტიფიცირება მოახდინა ტელეკომპანია იბერიამაც, საინფორმაციო გამოშვებაში. სახელმძღვანელო წესების თანახმად, ბავშვის დაფარვა უპირობოდ აუცილებელია როდესაც ის არის ძალადობის/დანაშაულის მსხვერპლი.

27 ივნისს რუსთავი 2-მა გააშუქა 4 პოლიციელისა და ათამდე ახალგაზრდას შორის ფიზიკური დაპირისპირების შესახებ. ახალგაზრდებიდან რამდენიმე სკოლის მოსწავლე იყო. როგორც სიუჟეტიდან ირკვევა, მათ წინააღმდეგ საქმე აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მეორე პრიმა ნაწილით მიმდინარეობს, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დამცველზე თავდასხმას გულისხმობს. სიუჟეტში იდენტიფიცირებულები არიან შემთხვევის მონაწილე არასრულწლოვნები, რომელთაც პოლიცია ბრალს სდებს.

პირველ მაისს, გამოცემა ITV-იმ გაავრცელა ინფორმაცია გურიაში ერთ-ერთ სოფელში 13 წლის დედის მიერ ახალშობილის მკვლელობის მცდელობის შესახებ. ნიუსში ხდება არასრულწლოვანი დედის ირიბი იდენტიფიცირება, დასახელებულია სოფელი, სადაც ბრალდებული ცხოვრობს, ასევე გამოქვეყნებულია ახალშობილისა და ერთ-ერთი სოფლის მაცხოვრებლის ფოტო, მასალას თან ერთვის იმ ადგილის ფოტო, სადაც სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენას აპირებდა არასრულწლოვანი. გარდა ამისა ნიუსში გამჟღავნებულია მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მოგვიანებით გამოცემა პრაიმ თაიმმა დაწერა, რომ შსს-ში მომხდარს არ ადასტურებენ, ინფორმაცია კი სოციალური ქსელის მომხმარებლის მიერ დაწერილ სტატუსს ეყრდნობოდა მხოლოდ.

გაზეთ ალიაში კი იდენტიფიცირებულია მოზარდი, რომელსაც შეურაცხყოფა მიაყენა მასწავლებელმა. სტატიაში რესპონდენტი არის ქალი, რომელიც ამბობს, რომ მსხვერპლი მისი მაზლიშვილია. მისი იდენტიფიცირებით ადვილია მიხვდე ვინ არის მოსწავლე. გარდა იმისა, რომ ამ ბიჭის პირადი ცხოვრების დეტალები ხდება ცნობილი, ამ სტატიის შემდეგ ის შეიძლება გახდეს დაცინვის ობიექტი. ამავე დროს, ამ ამბის გასაჯაროებამ ბიჭს შესაძლოა, განუახლოს შეურაცხყოფის განცდა და ტრამვა მიაყენოს. არასრულწლოვანის რეტრავმირება ისევე, როგორც პირადი ცხოვრების დეტალების გახმაურება, არის დაუშვებელი თუ რაიმე განსაკუთრებული საჯარო ინტერესი არ არსებობს მეორე მხარეს.

პრობლემაა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაც. მაგალითად, „იმედის კვირაში“ 25 მაისს გავიდა სიუჟეტი C ჰეპატიტის პროგრამის მუშაობისა და მისი ბენეფიციარების შესახებ. სიუჟეტი იწყება ერთ-ერთი არასრულწლოვნით, რომელსაც აქვს C ჰეპატიტი. ხდება ბავშვის სრული იდენტიფიცირება, გამჟღავნებულია მისი ჯანმრთელობის მდგომაროება და სამედიცინო ისტორია. ასევე, ჟურნალისტი ამბობს, რომ ბავშვი არ არის მშობლების ბიოლოგიური შვილი, მის ბიოლოგიურ დედას კი აივ ინფექცია ჰქონდა. უმჯობესი იყო ჟურნალისტს არ მოეხდინა მცირეწლოვნის იდენტიფიცირება არც პირდაპირ

და არც ირიბად. გასათვალისწინებელია აღნიშნულ დაავადებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი სტიგმა და დისკრიმინაციის საფრთხეები და ბავშვის პატარა ასაკი.

როდესაც მაუწყებლები მიიღებენ ბავშვის არაიდენტიფიცირების გადაწყვეტილებას, მოუგვარებელ ტექნიკურ ხარვეზად რჩება ბავშვების ისე გადაღება, რომ დაფარვის შემდეგ კადრში ბავშვის ნაცვლად გადღაბნილი წრე არ ჩანდეს.

### 4.7. არასრულწლოვანთა სუიციდის გაშუქება

არასრულწლოვანთა სუიციდის არაეთიკურად გაშუქება მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაკავშირებით დაფიქსირდა. საქმე ეხება ქუთაისში მეათე კლასელი გოგონას თვითმკვლელობას. განსაკუთრებით გამოცემა droni.ge-მ გამოაქვეყნა სენსაციურ ჭრილში მომზადებული მასალები (სტატია 1, სტატია2, სტატია 3), სადაც აღწერილი იყო თვითმკვლელობის მეთოდი და ადგილი. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა წაეკითხა სუიციდის სავარაუდო მოტივებისა და გარდაცვლილი არასრულწლოვნის მშობლების ურთიერთობის დეტალებიც. ამავე ჭრილში გააშუქა მომხდარი etanews.ge-მაც.

#### 4.7.1. კომპიუტერული თამაშის გაშუქება

სამონიტორინგო პერიოდში ბავშვებთან დაკავშირებით ყველაზე გახმაურებული ამბავი კომპიუტერული თამაში იყო, რომელსაც, მედიის ცნობით, არასრულწლოვნები სუიციდამდე მიჰყავს. „თამაში, რომელიც კლავს“, „ინტერნეტ სუიციდი“ , „სიკვდილის ჯგუფები“ - ეს სიტყვები ხშირად ისმოდა ხოლმე ჟურნალისტის ტექსტებში ამ თემის გაშუქებისას. მედიის ნაწილი თამაშის სახელს ამბობდა, ნაწილი კი არა. მაგალითად, კურიერ PS-ში, იმედის დილასა და ქრონიკაში არ გაამჟღავნეს სახელი, მოამბეში დაასახელეს. „იბერია“ თავიდან არ ასახელებდა თამაშის სახელწოდებას, მოგვიანებით კი გააჟღერა.

თემის გაშუქებიდან იკვეთებოდა, რომ სუიციდისა და თვითდაზიანების რამდენიმე შემთხვევა თამაშს დაუკავშირეს, თუმცა, თამაშსა და თვითმკვლელობას შორის კავშირი მხოლოდ მეზობლებისა და ნათესავების მოსაზრებებს ეყრდნობოდა.

ტელემედიისგან განსხვავებით, პრესამ და ონლაინ მედიამ აღნიშნული თემა სკანდალურ ჭრილში, ხშირად გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე, ჭორებზე დაყრდნობით გაავრცელა. გამორჩეული იყო ნეტგაზეთი, რომელმაც საკმაოდ მოცულობითი და სიღრმისეული სტატია გამოაქვეყნა ამ თემაზე. არ მომხდარა არათუ არც ერთი მსხვერპლის იდენტიფიცირება, არამედ გამოცემამ თავი შეიკავა თამაშის დასახელების გავრცელებისაგანაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გარდა ამბის გავრცელებისა, გამოცემამ თან დაურთო სუიციდის სავარაუდო ნიშნების ამოცნობის შესახებ რეკომენდაციები, რაც უნდა ითქვას რომ იშვიათი გამონაკლისია ქართულ მედიაში როდესაც სუიციდის გაშუქება ხდება.

სხვა ონლაინ და ბეჭდური გამოცემების დიდმა ნაწილმა ფაქტობრივად აღწერეს ის ადამიანები, რომლებიც ამ თამაშში ჩაებნენ: მოზარდები, რომლებსაც აქვთ მშობლებთან გართულებული ურთიერთობა, არიან სხვადასხვა თემით იმედგაცრუებულნი, დეპრესიულები, ჩაკეტილები, რომლის მშობლებსაც არ სცალიათ შვილებისთვის. ამავე დროს მიაწოდა ინფორმაცია სად უნდა ეძებნათ ეს თამაში.

მაგალითად "საერთო გაზეთმა" შემოგვთავაზა ინტერვიუ „აღელვებულ ქალბატონთან", რომელმაც რედაქციაში დარეკა და ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია. მისი თქმით, "იაშვილის კლინიკა დიდი სიმაღლიდან გადმომხტარი და დამტვრეული ბავშვებით სავსეა, მაგრამ სტატისტიკა იმალება". სტატია დაუსაბუთებელ ვარაუდებზე და გავრცელებულ ინფორმაციებზეა დაფუძნებული.

"ქართულმა სიტყვამ" კი მკითხველს დეტალურად გააცნო სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა, თვითმკვლელობის მეთოდები და "თამაშის კატასტროფული ინსტრუქციები და შანტაჟის მექანიზმი". სტატიაში აქაც მსხვერპლები სხვადასხვა საკითხებში იმედგაცრუებული ტინეიჯერიები არიან. "ვერსიამაც" შემოგვთავაზა სუიციდის მეთოდების აღწერა და დააზუსტა, რომ ისინი არიან ჩაკეტილი, დეპრესიული ბავშვები, რომლებსაც ცუდი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან. kvira.ge-მ „კვირის პალიტრაზე" დაყრდნობით გამოაქვეყნა სტატია, "ბოლო გაკვეთილზე ბავშვებისთვის უთქვამს, რომ მოვკვდები, ხომ მოხვალთ ჩემთანო?" – სასიკვდილო თამაშის პირველი მსხვერპლი?!" სადაც აღწერილია, როგორ სცადა 12 წლის გოგომ თვითმკვლელობა. აქვე ნათქვამია, რომ 12 წლის გოგოს სიკვდილის გამო კიდევ სხვა გოგომ თავის მოსაკლავად აბები დალია. ფაქტებს ჟურნალისტი „მყარ ვარაუდზე" დაყრდნობით კომპიუტერულ თამაშს უკავშირებს. სტატიის მიხედვით „ბევრი წერდა, რომ მან გმირობა ჩაიდინა..." პედაგოგის ვერსიით, (რომელიც სტატიაში იდენტიფიიცრებული არ არის): „მერე ითქვა, რაღაცა სექტები მოქმედებს და თვითდაზიანებებს იყენებენ ბავშვებიო,

მაგრამ რეალურად, ვერაფერს მივაკვლიეთ.“ სტატიას ფოტოდ ადევს გადასერილ ხელებიანი გოგოს ფოტო.

ამ თემის გაშუქებისას რთული იყო იმის გარკვევა თუ რა შეესაბამებოდა სიმართლეს და რა იყო არასწორი ინფორმაცია. მაგალითად, “პრაიმტაიმმა” გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ლურჯ ვეშაპში“ 30 ათასამდე ბავშვია ჩართული, თუმცა არ აზუსტებს რას ეყრდნობა.

თვითმკვლელობაზე ასე დაუსაბუთებლად წერა (განსაკუთრებით როცა ეს ეხება არასრულწლოვანს), მისი მეთოდების აღწერა, დაუშვებელია.

**როგორ უნდა გაეშუქებინა მედიას ეს თემა**

ცხადია, არსებობს ლეგიტიმური კითხვა, ხომ არ უკავშირდება  სუიციდისა და თვითდაზიანების  ცალკეული შემთხვევები ამ თამაშს, ხომ არ მიჰყავს თამაშს ბავშვები თვითმკვლელობამდე. ამ კითხვას სვამს არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო მედიაც. ამ კითხვების დასმისა და საქმის დეტალების გაცნობის შემდეგ, უმჯობესი იყო მედიას გაეთვალისწინებინა და ეთქვა აუდიტორიისთვის შემდეგი ფაქტები:

- მედიაში თამაშსა და თვითმკვლელობას შორის კავშირის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის მიუხედავად, ამგვარი კავშირი ჯერ ოფიციალურად არც ერთი ქვეყნის საგამოძიებო უწყებას არ დაუდასტურებია, გარდა რუსეთისა. ამ ტიპის ბრალდებით არც არავინ დაუკავებიათ, რომელიმე სხვა ქვეყნაში, გარდა რუსეთისა;
- საკითხის შესახებ პირველად „ნოვაია გაზეტას“ ჟურნალისტური გამოძიებიდან გახდა ცნობილი. ცნობილი საიტი „მედუზა“ წერს, რომ გამოძიება ხარვეზებს მოიცავს, წყაროები არ ადასტურებენ ამგვარი ჯგუფების არსებობას, ხოლო არ მოიპოვება ცალკეული სუიციდის შემთხვევების და თამაშის ურთიერთკავშირის უტყუარი მტკიცებულებები
- BBC-ს რუსული რედაქცია კი ესაუბრა რუსული სოციალური ქსელის „ვკონტაქტეს“ იმ მომხმარებლებს, რომელებსაც დიდი ჯგუფები აქვთ შექმნილი, ისინი ამბობენ, რომ ქსელში შექმნილი ე.წ. სიკვდილის ჯგუფი ტროლი იყო, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებმა ზედმეტად სერიოზულად მიიღეს და დაიწყეს საქმის გამოძიება.

ზემოთ განხილული სკეპტიკური დამოკიდებულება თვითმკვლელობისა და თამაშის კავშირზე, ქართული მედიის თითქმის სრულ უმრავლესობას არ განუხილავს, არადა ცხადია, მნიშვნელოვანი იყო, მაყურებელს ჰქონოდა ამომწურავი ინფორმაცია როგორც შესაძლო კავშირის, ისე ამ კავშირის მიმართ გამოხატული ლეგიტიმური სკეპტიციზმის შესახებ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო, მედიას საზოგადოებისთვის მიეწოდებინა პრაქტიკული ინფორმაცია, სუიციდის პრევენციის შესახებ. საჭირო იყო გაეთვალისწინებინა მათ შორის ქარტიისა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო პრინციპები:

- ზედმეტად დეტალურ აღწერასა და სენსაციაზე ორიენტირებულმა სტატიებმა, რომლებიც ფოკუსირდებიან სუიციდის მსხვერპლთა მიერ გამოყენებულ მეთოდებზე, შესაძლოა სხვებს, ვინც რაიმე ფორმით, საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მოახდენს მსხვერპლთან, ასწავლოს თუ როგორ უნდა გაიმეორონ იგივე ქმედება. არასოდეს მოყვეთ დეტალები და ნუ აჩვენებთ იმ გარემოს, სადაც სუიციდი მოხდა
- არ დაასახელოთ სუიციდის ერთი კონკრეტული მიზეზი, რადგან სუიციდს კომპლექსური პრობლემები იწვევს.
- სუიციდისა და სუიციდისაგან გადარჩენილი ადამიანების გაშუქებისას ყურადღება გაამახვილეთ სუიციდის პრევენციაზე, ინფორმირებასა და მხარდაჭერაზე.

## 4.8. ბავშვები ანტიდასავლური სენტიმენტების გასაძლიერებლად

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ბავშვების თემა გამოყენებული იყო ანტიდასავლური განწყობების გასაძლიერებლად. "ქართულმა გაზეთმა" გამოაქვეყნა სტატია "იუვენალური ფაშიზმი", სადაც ავტორი ამბობს, რომ იუველური ფაშიზმის მიზანია: შობადობის შემცირება მსოფლიოში, ოჯახების კონტროლი და ტერორი, ოჯახის ინტიტუტის ნგრევა, ბავშვების ორგანოებით ვაჭრობის სარფიანი ბიზნესი და ა.შ. ამის დასტურად მოყვანილია გერმანია, სადაც ავტორის თქმით, სრულიად ნორმალურ ოჯახებს დაუსაბუთებელი ბრალდებების და ცილისწამების საფუძველზე ბავშვებს ართმევენ და ინტერნატებში მიჰყავთ, მერე მინდობით აღზრდაში გადასცემენ. მიმღები ოჯახები ბავშვს ხშირად არასათანადოდ ექცევიან, ეს ბავშვები ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლებიც. გაზეთის ინფორმაციით, გავრცელებულია ამ ბავშვების სექსუალური უმცირესობებისთვის მიშვილებაც. სტატიაში აღნიშნულია, რომ ხშირია შემთხვევები, როცა „ერთსქესიანი ოჯახები" ბავშვებს ცვლიან ერთმანეთში სექსუალური ორგიებისთვის. სტატიის ავტორი ირწმუნება, რომ ხშირია ჩამორთმეული ბავშვების გაუჩინარების შემთხვევები, რადგან მათ ორგანოებით ვაჭრობისთვის იყენებენ. ამის ფონზე სტატიაში აღნიშნულია, რომ ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებით საქართველომაც მიიღო კანონი "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", რომელმაც სწორედ ეს ნორმები დააკანონა და მოყვანილია მაგალითები, როდესაც საქართველოში კარგ დედებს ბავშვები დაუსაბუთებლად წაართვეს და მინდობით აღზრდაში გააშვილეს, ამიტომ ავტორის მტკიცებით, ეს კანონი ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგაა მიმართული.

სტატია ცალმხრივ გადაუმოწმებელ, დაუსაბუთებელ ინფორმაციას და ავტორის მოსაზრებებს ეყრდნობოდა. სტატიაში ასევე აღრეული იყო სხვადასხვა ცნებები და სფეროები. სრულიად დამახინჯებულად იყო გადმოცემული კანონებისა და რეფორმების ძირითადი არსი. არ იყო მოშველიებული რაიმე მტკიცებულება მოცემული ფაქტების ნამდვილობის დასადასტურებლად, ამასთან იმის გამო, რომ ებმოდა ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ

ვალდებულებებს და მის არასწორ ინტერპრეტაციას შეიცავდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტატიის მიზანი ანტიდასავლური განწყობების გაძლიერება იყო. ბავშვების თემა კი სენსიტიურობიდან გამომდინარე შეირჩა.

### 4.9. ბავშვების სტიგმატიზება

თუ წინა საანგარიშო პერიოდებში ყველგან გვხდებოდა ერთი მაგალითი მაინც განსხვავებული ჩაცმულობის გამო ბავშვების სტიგმატიზების და ეწ სატანისტების თემის გაშუქების. ამჯერად მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. თუმცა, იყო რამდენიმე მასალა, რომლითაც ბავშვთა სტიგმატიზაცია ხდებოდა გარკვეული ნიშნით.

15 მაისს ჟურნალმა გზამ გამოაქვეყნა რეპორტაჟი ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების და ამ ბავშებისთვის შექმნილი ცენტრის შესახებ. მიუხედავად ჟურნალისტის მცდელობისა, რომ პოზიტიური მიზნებისთვის გაეშუქებინა ეს თემა, სინამდვილეში მან გამოყო ბავშვები დანარჩენი საზოგადოებისგან, უარყოფითად წარმოაჩინა ისინი, არ გააკეთა აქცენტი სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე, არსებული პოლიტიკის კრიტიკაზე, არ შეეცადა სისტემური პრობლემის წარმოჩენას.

ქუჩაში მცხოვრები ბავშვების სტიგმატიზება მოხდა ტელეკომპანია „იბერიის“ გადაცემაში „კრაზანა“, სადაც ბავშვებს ჟურნალისტი მოიხსენიებს „მაწანწალებად“ და ამბობს, რომ “როდესაც ეს არის მახინჯი მოვლენა, ეს მაწანწალობა და ეს მათხოვრობა ქუჩაში და ეს ხდება მაშინ, როდესაც შენ ჩამოგყავს ტურისტების ჯგუფი, მიგყავს და ამ დროს გაწუხებენ, მოდიან და არცხვენენ ჩვენს ქვეყანას.” ამგვარი გაშუქება ხელს უწყობს ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მიმართ ნეგატიური სტერეოტიპების, განწყობები გაძლიერებას და მათ მარგინალიზაციას.

სიმსუქნე კიდევ ერთი ფაქტორია, რის გამოც ბავშვის  სტიგმატიზება ხდება. 16 ივნისს იმედის „შუა დღის შოუს“ ერთ-ერთი თემა იყო სიმსუქნე ბავშვებში. თემის ერთ-ერთი კომპონენტი იყო სიუჟეტი, რომელიც შეეხებოდა მათ შორის არასრულწლოვანს (ლიზიკოს), რომელიც თავის ასაკთან შესაბამისად შედარებით მეტს იწონის. სიუჟეტში ბავშვის გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ის მსუქანია და ამაზე ზედმეტი აქცენტირება არ ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესს. გარდა ამისა, სიუჟეტში თავად ბავშვთან აქვთ ინტერვიუ და მას ასაუბრებენ იმის შესახებ, თუ რა ეპითეტებს იყენებენ ქუჩაში გამვლელები თუ ახლობელ-მეგობრები მის მიმართ იმის გამო, რომ ლიზიკო ჭარბწონიანია. ამ თემის მომზადება ერთი კონკრეტული მოზარდის გამოყენების გარეშეც შეიძლებოდა. შესაძლოა წლების შემდეგ რესპონდენტისთვის სასიამოვნო არც იყოს ამ კონტექსტში მისი გაშუქება. გარდა ამისა, საფრთხილოა, რომ მსგავსი თემების გაშუქების დროს არ მოხდეს ბავშვის მიმართ დისკრიმინაცია, ბულინგი მისი ვიზუალის გამო.

გარკვეული ფაქტების ერთმანეთთან არასაჭიროდ დაკავშირებამ შესაძლებელია საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები გააძლიეროს. ამის მაგალითია 28 ივნისს გლდანში

6 წლის ბავშვი მე-6 სართულიდან გადმოვარდნის ფაქტის გაშუქება. არასრულწლოვანი გარდაიცვალა. ტელეკომპანია „იბერიამ“ თითქმის ყველა გამოშვებაში აღნიშნა, რომ ბავშვს აუტისტური სპექტრის აშლილობა ჰქონდა. ჟურნალისტის ტექსტი საეჭვო კავშირს ავლებდა ბავშვის დაღუპვასა და მის სამედიცინო დიაგნოზს შორის, მაშინ როდესაც ამ ორი თემის ერთმანეთთან კავშირი არანაირად არ არის დადგენილი. ამგვარმა გაშუქებამ შესაძლებელია ჩამოაყალიბოს აზრი, რომ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებს ამგვარი რამ შესაძლებელია დაემართოთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ „რუსთავი 2-მა“ აღნიშნული ფაქტის გაშუქებისას, მართალია დიაგნოზი არ დაასახელა, მაგრამ ბავშვის გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში მგლოვიარე მამის კომენტარი ჩაწერა, რაც არეთიკურია. ჩართვაში ჩანდა მამაკაცი, რომელიც მძიმე ფსიქიკურ მდგომარეობაშია მომხდარი ფაქტისგან მიღებული შოკით.

ეტანიუსზე კი გამოქვეყნდა ახალი ამბავი, სადაც ნათქვამია, რომ მარნეულში ბავშვთა უფლებების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ხაზგასმულია, რომ ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებიც. მსგავსი გამოყოფა იწვევს ბავშვების სტიგმატიზაციას. ისინი არიან სხვა ბავშვების მსგავსები, შესაბამისად ყველა ერთნაირად უნდა გაშუქდეს შესაძლებლობებზე ხაზგასმის გარეშე.

### 4.10. არასწორი ტერმინოლოგია

სულ უფრო მცირდება არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. ამ საანგარიშო პერიოდში მხოლოდ სამ შემთხვევაში გამოიყენა მედიამ შეუსაბამო ტერმინები. პირველ შემთხვევაში კომერსანტმა საქველმოქმედო აქციის გაშუქებისას „უნარშეზღუდული პატარებად“ მოიხსენია ბავშვები. უმჯობესია გამოყენებული იყოს ტერმინი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“.

გადაცემაზე „კრაზანაში“ გამოყენებულ სიტყვა „მაწანწალაზე“ კი ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ეს სიტყვა ITV-ის სიუჟეტში კი, რომელიც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ექსპლუატაციას შეეხება, ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ იყო გამოყენებული.

## 5. სიღრმისეული გაშუქება

მიუხედავად არსებული ხარვეზებისა და გამოწვევებისა, მაინც გამოქვეყნდა არაერთი ჟურნალისტური ნამუშევარი, რომელიც სტანდარტების დაცვით ცდილობდა პრობლემის სიღრმისეულად წარმოჩენას ან სხვადასხვა ტიპის ბავშვებს აცნობდა აუდიტორიას, ხელს უწყობდა მათი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. მათ შორის უნდა გამოიყოს ნეტგაზეთი/ბათუმელები და საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „რეალური

სივრცე“. მაგალითად აღსანიშნავია ნეტგაზეთი/ბათუმელების მასალა „უხერხული გაკვეთილი“ - ახალგაზრდების სქესობრივი აღზრდის და საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ამ თემაზე არსებული პრობლემის შესახებ. მასალა მომზადებულია ამომწურავად, მასში თავად არასრულწლოვნებიც არიან წარმოჩენილი და წარმოჩენილია თუ რას ფიქრობენ ისინი. სტატია საკმაოდ კომპლექსურია და ფარავს სხვადასხვა პასუხისმგებელი პირების პოზიციას ამ თემასთან დაკავშირებით. სტატია ძალიან პროფესიონალურად და სიღრმისეულად აშუქებს არასრულწლოვნების ცნობიერებასთან დაკავშირებულ ამ თემას.

მნიშვნელოვანია, რომ Facebook გადაცემა „ბავშვების დროში“ გასული ვიდეო, რომელზეც ასახული იყო არასრულწლოვნის პირადი კადრები, არც ერთ მედიასაშუალებას არ გამოუქვეყნებია. ონლაინ მედიამაც ძირითადად კრიტიკულ კონტექსტში გააშუქა ეს ამბავი, თუმცა მხოლოდ ომბუდსმენის თუ პერსონალური დაცვის ინსპექტორის განცხადებების გამოქვეყნებით. ამ თემას ნეტგაზეთი გამოეხმაურა სტატიით ბავშვებში გენიტალიური სტიმულირების შესახებ, რომელიც მოიცავს ბავშვთა ფსიქოლოგთან ინტერვიუს. იმავე თემაზე, იმავე ფსიქოლოგთან ინტერვიუ მოამზადა გამოცემა on.ge-მაც.

პოზიტიურია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში „იმედის დილაში“ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა ხშირად შუქდება და როგორც წესი, არ ვხვდებით განსაკუთრებულ ეთიკურ გადაცდომებს. ჩანს მცდელობა საკითხი განიხილონ სიღრმისეულად. სიუჟეტის შემდეგ ეთერში მსჯელობა სტუმრებთან ერთად გრძელდება ხოლმე. მაგალითად განიხილეს ისეთი თემები, როგორიცაა ალკოჰოლიზმი ბავშვებში, ხუმრობები ბავშვებზე, ბავშვთა სქესობრივი განათლება და აშ.

მედიის ნაწილმა კარგად გააშუქა მოსწავლეთა დიდი ნაწილის ჩაჭრა საატესტატო გამოცდებზე. მათ უბრალოდ ფაქტი კი არ აცნობებს საზოგადოებას, არამედ ცდილობდნენ ეკვლიათ, რატომ ვერ ჩააბარეს მოსწავლეებმა გამოცდა, რამდენად ადეკვატურია სკოლის და საგამოცდო პროგრამა, რამდენად შეესაბამება ის ერთმანეთს, რა განათლებას და უნარებს აძლევს დღევანდელი სასკოლო განათლება ბავშვს. განსაკურებით სიღრმისეული იყო კურიერ PS-ის მასალა. ამ გადაცემაში კიდევ არაერთხელ გაშუქდა ბავშვებთან დაკავშირებული თემა. მაგალითად, მოამზადეს სიუჟეტი 5 მოსწავლის შესახებ, რომლებმაც მილენიუმის კონკურსში გაიმარჯვეს და ნასაში სასწავლო კურსზე წავიდნენ. სიუჟეტში აქცენტი ბავშვების უნარებზეა, მათ მიერ გაკეთებულ აღმოჩენაზე, რომელიც მეწყერის პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

პოზიტიურ ტენდენციებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს 2 ივნისს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე გასული გადაცემა „რეალური სივრცე“, რომელიც მთლიანად დაეთმო სკოლის მოსწავლეებსა და განათლების მინისტრს შორის საუბარს. გადაცემაში მოსწავლეები არა მხოლოდ შეკითხვებს უსვამდნენ მინისტრს, არამედ მათ ჰქონდათ იმის შესაძლებლობაც, რომ დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი განათლების სისტემაში არსებული ხარვეზების თუ პრობლემების შესახებ.

თვის განმავლობაში, „რეალური სივრცე“ არაერთხელ დაუბრუნდა ბავშვებთან დაკავშირებულ თემას, რომელსაც ყოველ ჯერზე სათანადოდ აშუქებდა. მაგალითად, 21 განიხილეს თუ რატომ არ ჩანან ბავშვები კონსტიტუციის პროექტში, 30 ივნისს კი კვირის რეალური სივრცე მიეძღვნა საქართველოში არსებულ სკოლა პანსიონებს და მათთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.

აღსანიშნავია ტვ პირველზე 20 ივნისს გასული სიუჟეტი არასრულწლოვნი ნანუკას შესახებ, რომელსაც საკუთარი მცირე მეურნეობა აქვს, ყავს 10 ბეკეკა, რომლებსაც თავად უვლის. სიუჟეტი მომზადებულია პოზიტიურ ტონში და ძირითადად ყურადღება გამახვილებულია სწორედ მის აქტივობებზე, სამომავლო გეგმებსა და სურვილებზე. ფერმერთა ასოციაციის წევრ 6 წლის ნანუკას შესახებ სიუჟეტი გავიდა იმედსა და რუსთავი 2-ზეც დილის და შუა დღის გადაცემაში, ამბავი გაშუქებულია პოზიტიურად და ბავშვის ასაკის მიუხედავად თემა სერიოზულად განიხილება.

ბავშვთა საკითხების სიღრმისეულ გაშუქებასთან დაკავშირებით უნდა გამოიყოს „სამხრეთის კარიბჭე“, რომელიც ყოველთვის სტანდარტების დაცვით აქვეყნებს მასალებს და ამ მასალებს ყოველთვის აქვს საინფორმაციო ღირებულება. პოზიტიურ ტენდენციად უნდა შეფასდეს სამხრეთის კრაიბჭის რადიო გადაცემა "თაობა მაXიმუმი", რომელშიც როგორც წესი განათლებასთან დაკავშირებულ თემებზე დისკუსია თავად არასრულწლოვნების ჩართულობით მიმდინარეობს ხოლმე.

## 6. 1 ივნისი

2017 წელსაც პირველმა ივნისმა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღემ ქართულ მედიაში ძირითადად ბავშვების გარეშე ჩაიარა. მომზადებული 400 მასალიდან ბავშვის ხმა მხოლოდ 45 შემთხვევაში ისმოდა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს 1 ივნისს 475 მასალა მომზადდა. მასალების აბსოლუტური უმრავლესობა მოკლე ინფორმაცია იყო. მხოლოდ 3 სიღრმისეული მასალა მომზადდა, სამივე ტელემედიის მიერ.

ამ დღესაც ბავშვებზე საუბრობს ყველა, გარდა თავად ბავშვებისა. ეს ტენდენცია ფაქტობრივად უცვლელია ბოლო წლების განმავლობაში. ბავშვების ხმა ყველაზე მეტად ტელეთერში ისმოდა. ყველაზე ნაკლებად კი პრესაში. მხოლოდ ერთ მასალაში იყო წარმოჩენილი არასრულწლოვანი, როგორც რესპონდენტი.




უკვე ტენდენციად ჩამოყალიბდა, რომ ქართული მედია ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე რეალურად სხვადასხვა ორგანზაციების პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების გაშუქების დღეა. ამ დღეს  მედია ორიენტირებულია არა ბავშვთა უფლებების გაშუქების, მათი საჭიროებების წინ წამოწევის, არამედ  სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებებსა და ქველმოქმედებაზე.



რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს, რომ 1 ივნისს, ბავშვების თემაზე მიძღვნილი მასალების 63% (217 მასალა) სწორედ საპირველივნისო ღონისძიებებმა, სარეკლამო და პიარ მასალებმა და საქველმოქმედო ღონისძიებებმა დაიკავა. ბავშვთა უფლებებს კი მხოლოდ 20 მასალა მიეძღვნა.

ღონისძიებები კი მრავალად ჩატარდა 1 ივნისს, მედიის ყურადღების ქვეშ მოხვდა მათი დიდი ნაწილი. მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი სოლიდარობის ფონდთან ერთად კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ბავშვებთან. გორის გამგებლის მილოცვა ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრებ პატარებს. აჭარის ტელევიზიამაც გააშუქა ერთ-ერთი საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის ბენეფიციარებისთვის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ტკბილეულითა და საჩუქრებით მილოცვა

ღონისძიებების გაშუქებისას მედიის ყურადღების ცენტრში, ხშირად, არა ბავშვები, არამედ ზრდასრულები ხვდებიან. მაგალითად, რუსთავი 2-ის მასალაში, რომელიც მზიურში გამართულ ღონისძიებაზე პირველი ლედის მისვლას ეხება, ჩაწერილია 4 რესპონდენტი, ოთხივე ზრდასრულია, ხოლო არასრულწლოვნებისთვის  საერთოდ არავის უკითხავს აზრი.

1 ივნისი თავისი პიარკამპანიისთვის და მედიაში პოზიციონირებისთვის აქტიურად გამოიყენა სხვადასხვა კომპანიამაც, მაგალითად, ჟურნალ OK -ს სტატია ეხება წერის  კონკურსს, რომელიც საქართველოს ფოსტამ ჩაატარა. ცხადია, ამგვარი სტატიების გამოქვეყნება ზოგადად, პრობლემა არ იქნებოდა, მათ პარალელურად, ბავშვთა უფლებების, განათლების, ჯანდაცვის და სხვა საკითხების შესახებაც რომ ქვეყნდებოდეს სტატიები. პრობლემა მაშინ იქმნება, როცა მედია, ბავშვთა დაცვის დღეს მხოლოდ ისეთ სტატიებს აქვეყნებს ბავშვებზე, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ემსახურება კონკრეტული კომპანიის პიარს.

1 ივნისს პალიტრანიუსმაც მიუძღვნა ბავშვებს გადაცემა.  “დღის თემის” სტუმრები იყვნენ 10 და 8 წლის სანდრო და სესილი იყვნენ. წამყვანი მათ ასაკისთვის არაშესაფერის კითხვებს უსვამდა. მაგალითად, “რას მოგვიტანს ევროპასთან ასე მჭიდრო ურთიერთბობა?” “ქართველები მზად ვართ ევროპის სრულფასოვანი წევრები ვიყოთ?”

ქარტიისა და იუნისეფის მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესების მიხედვით „არ შეიძლება ბავშვი გამოყენებული იყოს დაცინვის, ანდა გართობის ობიექტად, „საყვარელ“ არსებად, რომლის ნათქვამსაც არასერიოზულად აღიქვამენ.“ პალიტრანიუსის ამ გადაცემის ბოლოს აღმოჩნდა, რომ გადაცემა პიარისთვის იყო გამოყენებული. მოგვიანებით ეთერში შემოვიდა “პალიტრის” HR დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელმაც ფაქტობრივად “პალიტრის” რეკლამა გააკეთა - ისაუბრა, როგორ იგეგმება პატარა “პალიტრელებისთვის” საპირველივნისო ღონისძიება, რომ ასევე “ბიბლუსი კიდსი” აღნიშნავს 2 წლის იუბილეს და შესაბამისად, დილიდან ნებისმიერ მსურველს შეუძლია მივიდეს და ფანტასტიკური დრო გაატაროს.

თუმცა გადაცემის მეორე ბლოკი აღსანიშნავია დადებითი კუთხით, ვინაიდან იგი შეეხებოდა მოზარდების ინიციატივით წამოწყებულ სამოქალაქო კამპანიებს, რომლებშიც თავად არასრულწლოვნები არიან ჩართულები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ფაქტობრივად, არც ერთმა ბეჭდურმა თუ ონლაინ მედიასაშულებამ პირველ ივნისს არ შესთავაზა მკითხველს ბავშვების პრობლემების, უფლებების, სოციალური ყოფის, ძალადობის შესახებ მომზადებული პროექტები/სტატიები.

1 ივნისს სიღრმისეული მასალების თვალსაზრისით გამონაკლისი იყო ორი ტელევიზია, რომლებმაც მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში აქცენტი გააკეთეს განათლებაზე, ბავშვთა უფლებებსა და მათთან დაკავშირებულ პრობლემურ სოციალურ თემებზეც. მათ შორისაა მაესტრო, და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი.

ასევე, ტელეკომპანია „იმედს“ ჰქონდა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელ მაია ქურციკიძესთან ჩართვა, სადაც საუბარი იყო ბავშვთა უფლებების მხრივ არსებულ მდგომარეობაზე.

აღსანიშნავია, რომ ამავე არხზე დილის გადაცემაში სტუმრად ჰყავდათ საბავშვო მწერალი ელენე ჯიჯიაშვილი, რომელიც თავადაც არასრულწლოვანია და უკვე მეორე ნაწარმოებზე მუშაობს . ასევე, მეორე ბლოკში ჰყავდათ არასრულწლოვანი, რომელიც საუბრობდა ბავშვთა უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე, საკუთარ ისტორიაზე თუ როგორ მოხვდა ერთ-ერთ ფილმში მსახიობად და სხვა 1-ლ ივნისთან დაკავშირებულ თემაზე.

განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს პირველი არხის გადაცემა „რეალური სივრცე“, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ თემატიკას. გადაცემის პირველი ნაწილი ეხებოდა არასრულწლოვნათა შრომით მიგრაციას, რომელიც ძირითადად გურიისა და აჭარის რეგიონიდან თურქეთში სამუშაოდ გადასულ არასრულწლოვნებს შეეხებოდათ. გადაცემაში გავიდა სიუჟეტიც ერთ-ერთი ასეთი არასრულწლოვნის შესახებ, რომელიც სტანდარტების სრული დაცვით იყო მომზადებული. გადაცემის შემდეგ ბლოკში სტუმრად ჰყავდათ გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი ლაილა ომარ გადი, რომელიც ბავშვთა უფლებებზე და განათლების კუთხით არსებულ გამოწვევებზე საუბრობდა.